**ტექნიკური დავალება**

**შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს ავტომობილების დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე**

| | |
|---|---|
| **საზოგადოების სრული დასახელება და მისამართი:** | შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ (შემდგომში - საზოგადოება)<br>მაიკოვსკის ქ. #4, ბათუმი 6000, საქართველო |
| **შესაძენი მომსახურების დასახელება:** | საზოგადოების ავტომობილების დაზღვევის მომსახურება |
| **მომსახურების მოწოდების პერიოდი:** | 2019 წლის 13 ივნისიდან 2020 წლის 12 ივნისის ჩათვლით |
| **დასაზღვევი ავტომობილების რაოდენობა:** | 30 ავტომობილი |
| **ტექნიკური სპეციფიკაცია:** | 1. დაფარვა<br>ა) სრული კასკო - მიწისძვრის და სეტყვის დაფარვის ჩათვლით. ასევე დაფარული უნდა იყოს აქსესუარები. ასევე იფარებოდეს შემთხვევითი დაზიანება ანუ მაგალითად ავტომობილის დგომის დროს მომხდარი შემთხვევები სადაც დამზიანებელი არ არის იდენტიფიცირებული. ასევე შუშების შემთხვევითი მტვრევა.<br>ბ) მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა - შემოთავაზებული ლიმიტები უნდა იყოს 10, 30 და 50 ათასი აშშ დოლარი.<br>გ) მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა - ლიმიტი 10 – 20 და 30 ათასი აშშ დოლარი.<br><br>2. უფლებამოსილი მძღოლები - უნდა განისაზღვროს,როგორც ყველა თანამშრომელი.<br><br>3. ფრანშიზა - უფრანშიზო (ნულოვანი ფრანშიზით).<br><br>4. იმ ავტომობილების შეკეთება რომელთა ასაკი არ აღემატება 3 წელიწადს შესაძლებელია სადილეროებში. იმ ავტომობილების შეკეთება, რომელთა ასაკი აღემატება 3 წელიწადს შესაძლებელია მხოლოდ კონტრაქტორ სერვის ცენტრებში ან არაკონტრაქტორ სერვისცენტრებში მზღვეველთან შეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერ ავტომობილზე დაზიანებული მექანიკური ნაწილების ჩანაცვლება მეორადი ნაწილებით არ არის მისაღები გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მზღვეველი და დამზღვევი შეთანხმდებიან სხვაგვარად. ახლით ჩანაცვლების პირობა არ ვრცელდება მთლიანად აგრეგატების (ძრავი, გადაცემათა კოლოფი, ხიდები) ჩანაცვლებაზე გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც გონივრულ ვადაში მსგავსი პარამეტრების მეორადი აგრეგატის მოძიება არ არის შესაძლებელი.<br><br>5. ა. ავტოსაგზაო შემთხვევისას მზღვეველი ვალდებულია უფასოდ მიაწოდოს დამზღვევს ევაკუატორის მომსახურება დაფარვის ტერიტორიის ნებისმიერ წერტილიდან დაფარული ტერიტორიის ნებისმიერ წერტილში.<br>ბ. თავისი ნებითა და სურვილით მზღვეველს შეუძლია დამატებით შესთავაზოს დამზღვევს ევაკუატორის მომსახურება ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში.<br><br>6. დაზღვევის მოქმედების ტერიტორია -- საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი. |

| | |
|---|---|
| | 7. ტექნიკური დოკუმენტაცია (ვორდინგი და ხელშეკრულება) უნდა იყოს ორ ენაზე - ქართული, რუსული. ეს პირობა სავალდებულოა. |
| **გადახდის პირობები:** | კვარტალური გადახდა |
| **კომერციული წინადადების მოწოდების ადგილი:** | მაიკოვსკის ქ. #4, ბათუმი 6000, საქართველო<br>შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ |
| **კომერციული წინადადების მოწოდების ვადა:** | • 2019 წლის 20 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით - 12:00 სთ-მდე. |